ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1900** ხუთშაბათი, 14 დეკემბერი **№ 1327**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

გ ა ზ ე თ ი
„ცნობის ფურცელი“
(ც ა ლ კ ე)
ღირს წელიწადში 6 მანეთი
თვეში 75 კაპ.
ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე,
მარტირუზოვის სახლში, № 27.
ჟურნალი „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერელს
„ცნობის ფურცელი“ გაეგზავნება უფასოთ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 14 დეკემბერს 1900 წ.
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ
ბ-ნ გლ. ალექსი-მესხიშვილისა და ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები
I
ბრჭყალები
დრამა 3 მოქმედებად პოლ-ერვიესი, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა.
II
დავით რაბინი
კომედია 3 მოქმედებად ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ა. ცაგარლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხვ.
დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი ვ. გუნია.
მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „შემოსავლიანი ადგილი“, კომ. ოსტროვსკისა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

12 დეკემბერი.

პეტერბურგი. 12 დეკემბერს ლოთობის წინაამდეგ საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარის პრინცის ოლდენბურგსკის, პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასულის და დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის თანადასწრებით აკურთხეს და გახსნეს სახალხო სახლი იმპერატორის ნიკოლოოზ II სახელზე დაარსებული. მათი უმაღლესობანი შევიდნენ სათეატრო დარბაზში, სადაც დაიწყო დღესასწაული. თავმჯდომარის თანაშემწემ ტურჩანინოვმა თავმჯდომარის სახელით წაიკითხა შემდეგი: „მე ბედნიერება მქონდა უქვეშევდომილესად მომეხსენებინა ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომ დღეს დანიშნულია სახალხო სახლის გახსნა შენობაში, რომელიც უმაღლესად ებოძა ლოთობის წინაამდეგ საზოგადოებას სახალხო გასართობების მოსაწყობად. თვით ადგილიც დაეთმო საზოგადოებას უმაღლესის ბრძანებით და საშუალებაც სახლის ასაგებად მის უდიდებულესობის მიერ ნაბოძებია, ასე რომ სახალხო სახლი ხელმწიფის საჩუქარია პეტერბურგის მუშა ხალხისათვის. მოისმინა რა ხელმწიფე იმპერატორმა სახალხო სახლის გახსნის ამბავი, გამოუგზავნა კომიტეტის თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თანახმა ვარ, რომ სახალხო სახლს ჩემი სახელი დაერქვას. ვუსურვებ სრულ გამარჯვებას ახალ საქმეს. **ნიკოლოოზ**“. უმაღლესის დეპეშის წაკითხვამ გამოიწვია აღტაცებული „ურას“ ყვირილი და საერო ჰიმნის გალობა. შემდეგ მეორე იარუსის ფოიეში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. დეკანოზმა გოლუბევმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა ღვაწლი, რომელიც სახალხო განათლების საქმეს დასდვა ალექსანდრე პეტრეს ძემ ოლდენბურგსკიმ. შენობა ასხურეს აიაზმით და შემდეგ გაიმართა საუზმე, რომლის დროს წარმოითქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლების და მემკვიდრის, რამაც გამოიწვია აღტაცებული „ურა!“ ტურჩანინოვმა დალია სადღეგრძელო პრინც ალექსანდრე პეტრეს ძის, მისი მეუღლის და პრინც პეტრე ალექსანდრეს ძის ოლდენბურგსკებისა; სადღეგრძელოს მოჰყვა „ურა“ და პრეობრაჟენის პოლკის მარში. შემდეგ მის უმაღლესობას უთხრეს სიტყვები ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა კოკოვცევმა, არტისტმა საზონოვმა და ერთმა დამწყრე მუშათაგანმა. ნაშუადღევს 2 საათზე შემოუშვეს მუშები თავიანთ სახლობებით და დაიწყო სხვა და სხვა წარმოდგენები, რომლებმაც გასტანა ღამის 11 საათსა და 15 წუთამდე. ბოლოს მუშებს გაუმართეს ვახშამი.

12 დეკემბერს ყირიმიდან ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ეგერმეისტერი სიპიაგინი, რომელსაც მიეგებნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, დეპარტამენტის დირექტორნი, ქალაქის უფროსი და მისი თანაშემწე.

კაპშტადტი. კიტჩენერი წავიდა დეაარში, საიდანაც ხელმძღვანელობას გაუწევს კაპის ახალშენში შესეულს ბურების საწინააღმდეგო ბრძოლას.

პეკინი. კოლოგანთან შეგროვილმა ელჩებმა მიიღეს პრინცი ცინი და ჩააბარეს მას ნოტა. ცინმა სთქვა: „მაქვს პატივი მივიღო ნოტა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. გარდავსცემ მას დაუყოვნებლივ იმპერატორს და როგორც კი პასუხი მოვა, მაშინვე შეგატყობინებთ“. ავადმყოფმა ლიხუნ-ჩანგმა ბოდიში მოითხოვა დაუსწრებლობის გამო.

კაპშტადტი. როგორც აღმოჩნდა, ბურებს ძალიან ნაკლებად დაუზიანებიათ რკი-

ფელეტონი

პრეზიდენტი კრიუგერი საფრანგეთში

(კორესპონდენცია პარიზიდან).

წელიწადზე მეტია, რაც მთელი მსოფლიო უმწვერვალესის ბარბაროსობის მოწამეა: თვისის სიმდიდრით და განათლებით საყოველთაოდ განთქმული სახელმწიფო ინგლისისა ეომება სამხრეთ-აფრიკის ორს პაწია რესპუბლიკას,—ტრანსვაალსა დ ორანჟეს, რათა თავისუფლების მოყვარე მცხოვრებთ ამ რესპუბლიკებისას,. ერთ მუჭა ბურებს, წაართვას უძვირფასესი განძი ადამიანისა — თავისუფლება და მათი სამშობლო დიდ-ბრიტანეთის ნაწილი გახადოს. ბურები სისხლის უკანასკელ წვეთამდე უმკლავდებიან ამ მსოფლიო გველვეშაპს, რომელიც მათ ჩანთქმას ჰლამის, საკვირველი თავგანწირულებით და ვაჟკაცობით ებრძვიან შემოსეულ რიცხვმრავალ მტერს, ოღონდ კი როგორმე თავისი კერა დაიცვან. ერთი კაცი ოცსა და ოცდაათ მტერს აძლევს პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ჯარის მთავარსარდალმა ლორდმა რობერტსმა კიდეც გამოაცხადა, ორივე რესპუბლიკა შემოვიერთეთო, ბურები მაინც გულს არ იტეხენ, იარაღს ხელიდან არ აგდებენ და იმედს არ ჰკარგავენ, ღმერთი არ გაგვწირავს და სიმართლე, ერთხელაც არი, გაიმარჯვებსო.

მართალია, ბურებს თავი გადადებული აქვთ, თავიანთი მამაცობით ქვეყანას აკვირვებენ და თოთხმეტ თვის განმავლობაში ძლიერს ინგლისის ჯარს საქმე გაუჭირეს, მაგრამ ისიც იციან, რომ, ადრე იქნება — თუ გვიან, მტრის რიცხვმრავლობა თავისას გაიტანსო. ამიტომ გადასწყვიტეს ევროპის სახელმწიფოთათვის მიემართნათ და ეთხოვნათ მედიატორულის წესით ამ ომის გათავება. ამაზე წინად მათმა მოციქულებმა ამ აზრით კიდეც მოიარეს ევროპა-ამერიკა. მართალია, ნუგეშის სიტყვა არსად დაუკლიათ მოციქულთათვის, მაგრამ ინგლისის შიშმა კაცთმოყვარული გრძნობა ყველას დაუჩაგრა და საქმეში ჩარევა ვერავინ გაბედა. ასე რომ დღეს აქამომდე ბოლო არ მოეღო ბურების იმ უმანკო სისხლის ღვრას, რომელიც სამარცხვინო და თან წაუხოცველ ლაქად უნდა ჩააკვდეს მთელს XIX საუკუნეს.

ბოლოს, ამ ერთი თვის წინად, თვით მხცოვანი პრეზიდენტი ტრანსვაალისა პავლე კრუგერი აიბარგა თავის სამშობლოდან, რომ პირადადა სთხოვოს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ სამედიატორო სამართალით გადაწყვეტა უთანხმოებისა, თანახმად გააგის კონფერენციის დადგენილების 3 მუხლისა. თუ მის თხოვნასაც არ დასდეს პატივი, გადაწყვეტილი აქვს გამოაქვეყნოს ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც ნათელსა ჰფენენ ამ უსწორო ომს, ქვეყანას შეატყობინოს ინგლისის სიმტყუნე და მერე, როგორც თითონა სთქვა, დაბრუნდეს და სამშობლო მიწა-წყალზე გმირულად სული განუტეოს.

მაგრამ პირველი კითხვა ის იყო, თუ ჯერ რომელ სახელმწიფოს უნდა სწვეოდა კრიუგერი, რომ თავიდანვე იმედი ჰქონოდა სტუმართ მოყვარულ დახვედრისა და თანაგრძნობისა. ისეთ სახელმწიფოს რომ სწვეოდა, სადაც, შეიძლებოდა, სულ არ შეეშვათ, ან და ყურადღება არავის მიექცია მისთვის, ამ ამბავს გავლენა ექნებოდა მისის მთავარის მიზნის აღსრულებაზე. გარემოება მოითხოვდა პირველი ხმა ყოფილიყო ხმა თანაგრძნობისა და ხმა პატივცემისა. კრიუგერმა გადასწყვიტა პირველი ბედი საფრანგეთში ეცადა და არც შესცა. ნუგეში მხოლოდ საფრანგეთის ხალხისაგან იყო ამ შემთხვევაში მოსალოდნელი, იმ საფრანგეთის ხალხისაგან, რომელიც ასე ძვირად აფასებს თავისუფლებას, იცის, რა მწარეა ადამიანისათვის კერის მოშლა და, მაშასადამე, იცის, როგორ დააფასოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერთი მუჭა ერის წარმომადგენელი...

როცა ამ სტრიქონებსა ვწერთ, საფრანგეთის დედა ქალაქში სალაპარაკო საგანი— კრიუგერი და ბურებია. პარიზის მცხოვრებნი განურჩევლად წოდებისა, ხარისხისა, სქესისა და ასაკისა ერთის აზრით ღა არიან გამსჭვალულნი: როგორ ანუგეშონ ბურების მწუხარებით ძაძა-მოსილი კრიუგერი, როგორ გამოუცხადონ თანაგრძნობა სამართლიანობას და ამავე აქტით დაჰგმოს უსამართლობა და ძალმომრეობა, რომლის წარმომადგენელიც დღეს ინგლისი გამხდარა. მგონი, მეტი არ იქნება, „ცნობის ფურცლის“ მკითხველთაც გავუზიაროთ ცოტა რამ აქ მომხდარ ამბებისა.

—

კრიუგერი კრეისერით „გელდერლანდ“ით, რომელიც ჰოლანდიის ახალგაზდა დედოფალმა ვილჰელმინამ ათხოვა, 22 (9) ნოემბერს მოადგა მარსელის ნავთსადგურს. გაზეთების სიტყვით, ყოველს მოლოდინს და ზომას აღემატა ის აღტაცება და მხურვალე თანაგრძნობა, რა აღტაცებით და თანაგრძნობითაც მარსელელები ბურების პრეზიდენტს დაუხვდნენ. არც ერთს გვირგვინოსანს არა ჰღირსებია ისეთი უანგარო, გულწრფელი და სწორუპოვარი პატივისცემა, როგორც კრიუგერს ხვდა წილად. მაგრამ პატივი სცეს და დიდის ზეიმით დახვდნენ არა იმისთვის, რომ პრეზიდენტი იყო,—სრულებითაც არა! ბევრი კრიუგერისთანა პრეზიდენტი და უკეთე-

ნის გზების ლიანდაგები, მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა კი უნდა მიეწეროს ნიაღვრებს. მატარებლების წესიერი მიმოსვლა კაპშტადტსა და დეაარის შუა დაიწყო.

პეკინი. საერთო ნოტის ოფიციალური გადაცემის ცერემონიას დაესწრება მხოლოდ პრინცი ცინი. ლიხუნჩანგი ძალიან დასუსტებულია და მისი მდგომარეობა საშიშია; კიდევაც რომ მორჩეს, საეჭვოა შესძლოს მონაწილეობის მიღება მოლაპარაკებაში.

ხარკოვი. 28 დეკემბერს აქ მოხდება სხდომა დროებითი სამხედრო სასამართლოსი, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე 10 ბოშისა. მათ ჰბრალდებათ სასოფლო-საზოგადოებათა კასსებისა და ეკკლესიების გაძარცვა. სეკტემბრის განმავლობაში იმათ მოუხდენიათ შვიდი ავაზაკობა, მოუკლავთ 17 კაცი და წაუღიათ 4,526 მანეთი. ამ ბრბოს ეხმარებოდა ერთი ქალი, რომელიც ბახმუტში სცხოვრობდა.

პარიზი. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გამსინჯველმა კომისიამ გამოაცხადა გუშინ პალატაში, რომ ყოვლად შეუძლებელია შემოღებულ იქმნას ორის წლის ვადა ჯარის-კაცების სამხედრო სამსახურისათვისაო.

ყურნალ-გაზეთებიდან

※ ირლანდიელებიც გულ-მხურვალედ და გულწრფელად თანაუგრძნობენ ბურებს: თავის პატივისცემის დასამტკიცებლად ირლანდიის ქალაქ ლიმერიკს პრეზიდენტი კრიუგერი თავის საპატიო მოქალაქედ აურჩევია. ქალაქის საბჭოს წევრებში მხოლოდ ორი გამხდარა წინააღმდეგი ამ არჩევისა, მაგრამ ბოლოს, რაკი ვერა გაუწყვიათ რა საზოგადო სურვილთან, ისინიც დათანხმებულან.

※ თუ დაუჯერეთ ზოგიერთ პარიზულ გაზეთებს, კრიუგერს მიუღია ერთი რომაელი ეპისკოპოზის ხელით წერილი პაპისაგან. წერილში პაპი იწვევს კრიუგერს რომში. ამასთანავე ეპისკოპოზმა შეატყობინა კრიუგერს, რომ პაპი მზადაა მიიღოს იგი დიდის პატივით და მოიხმაროს ყოველი ზნეობრივი საშუალებანი, რომ ინგლის-ტრანსვაალის საქმე სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გასარჩევად. ვატიკანს და ორივე რესპუბლიკებს არ მიუღიათ მონაწილეობა გააგის კონფერენციაში და ეს გარემოება უფრო მეტს საბუთს აძლევს მათ, რომ გაჭირების დროს მიჰმართონ ბოლოსდროს დიდ ხელმწიხეებს და სახელმწიფოების მთავეებს. კრიუგერს უთხოვნია ვადა ამაზედ საფიქრებლად.

ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ რომაული გაზეთების სიტყვითაც, პაპს გაუგზავნია პრეზიდენტ კრიუგერისათვის მოზაიკური სურათი წმიდა პეტრეს საკრებულო ტაძრისა და წერილი მეტად თანაგრძნობით შედგენილი.

※ ლონდონიდან იწერებიან: «ის იყო, წმიდა პავლეს ტაძარში უნდა გადაეხადათ სამადლობელი პარაკლისი ომის კეთილად დაბოლოვების გამო, როცა ამბავი მოვიდა სამხრეთ აფრიკიდან, რომ დევეტს გაუმარჯვნია ინგლისელებზედაო. პარაკლისი, რასაკვირველია, მაშინვე გადადეს. ამბობენ, რომ პარაკლისის გადადება მოანდომა თითონ პირველმა მინისტრმა ლორდ სოლსბერიმ, რომელსაც ეთქვა ამის თაობაზედ: «ჩვენ საშინლად შეწუხებულები ვართ; ვეღარ გაგვიგია, თუ რა ხდება სამხრეთ აფრიკაში და მხოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასასრულმა მაინც აჯობოს ამ დასაწყისსა».

※ ლონდონიდანვე იწერებიან, რომ ბოლოს დროს ინგლისის მინისტრები სულ სხვანაირ კილოზედ ლაპარაკობენ ბურებზედ. ისინი პატივისცემით იხსენიებენ ბურებსა და მათ გენერლებს და სულაც აღარა სთვლიან მათ ყაჩაღებად.

※ ინგლისის კორრესპონდენტები იწერებიან, რომ ბურებმა ჭკუა ვერ ისწავლესო: როცა მათ მაგალის მთასთან გაიმარჯვეს, იმის მაგივრად, რომ გამოსდგომოდნენ ინგლისელებს, — შეიკრიბნენ და ფსალმუნების გალობას მოჰყვნენ.

«მაგრამ ომის საკვირველი და საოცარი მსვლელობა განა არ გვიჩვენებს, რომ ბურებს ზარალი არ მოსდით ამისთანა ღვთის სიყვარულისაგანაო». — ამბობს ერთი რუსული გაზეთი.

※ ინგლისელების მთავრობა, — როგორც იუწყება «ტანა-ი», — აძლევს იჯარით ერთ მდიდარ ამხანაგობას ტრანსვაალის ჯერ ხელ-უხლებელს მადნებს 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად (470 მილ. მან.).

※ რეიტერის საგენტო იუწყება, რომ კიტჩენერს ბძანება მიუცია იმ ჯენერლებისთვის, რომელნიც დევეტს მისდევენ, რომ მათ განუწყვეტლივ და დაუსვენებლივ კვალ-და-კვალ სდიონ და არ მოეშვნენ, სანამ ხელში არ ჩაიგდებენ ამ მოუსვენარს და დაუდეგარს გენერალსაო.

※ ფრანგული გაზეთები ადარებენ ინგლისისა და ბურების ზარალს, რომელიც მათ მოუვიდათ ომის განმავლობაში. გამოდის, რომ ბურებისთვის მოუკლავთ სულ 1200 კაცი და ინგლისელებისთვის 49,000 კაცი.

ახალი ამბავი

◆ სამშაბათს, 12 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას. ამ სხდომაზედ, სხვათა შორის, განხილულ იქმნა წერილობითი მოხსენება გამგეობის წევრის დავ. კარიჭაშვილისა იმის შესახებ, რომ გამგეობამ ითავოს საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენა-გამოცემის საქმე. ბ-ნი კარიჭაშვილი მით ასაბუთებს თავის წინადადებას, რომ დღემდე არ მოგვეპოვება ერთი ისეთი სახელმძღვანელო, რომელსაც ცოტათი მაინც შეეძლოს მკითხველ ქართველ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ბროსსესა და ბაქრაძის ისტორიები მხოლოდ არქეოლოგიურ და ისტორიულ ფაქტებს გროვას წარმოადგენენ; რაც შეეხება განსვენებულს ბარათაშვილის საქართველოს ისტორიას, იგი თუმცა მკითხველს ცოტაოდნად სისტემატიურად დაწყობილს ცნობებს აწოდებს, მაგრამ ჯერ სრულად არ არის ქართულს ენაზე გამოცემული და რაც იყო, ისიც რამდენიმე წელიწადია აღარსად გასასყიდი არ მოიპოვებაო. ბ. ა. ხახანაშვილის მიერ გამოცემული ქართული ლიტერატურის ისტორია ქართველის მკითხველისათვის ხელ-მიუწდომელია, ერთი იმით, რომ რუსულს ენაზეა და მეორე, რომ ძალიან ძვირია. მომხსენებლის აზრით, საჭიროა საზოგადოების გამგეობამ საქართველოს ისტორიისა და ქართულ ისტორიის შემდგენელნი წააქეზოს პრემიის დანიშვნით, თითოსათვის 400 მან. საზოგადოების გამგეობამ, განიხილა რა ეს საყურადღებო მოხსენება, დაადგინა მიენდოს თვით ბ-ნთ დ. კარიჭაშვილს, ე. ს. თაყაიშვილსა და გ. თ. ყიფშიძეს. მათ უნდა წარმოუდგინონ გამგეობას მოხსენება იმის შესახებ, თუ რა უნდა მოეთხოვოს ქართულ ლიტერატურის ისტორიის და საქართველოს ისტორიის იმ თხზულებებს, რომელნიც საპრემიოდ უნდა იქმნენ წარმოდგენილი. გამგეობის წევრთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ პრემიად შეიძლება დაინიშნოს 400 მანეთზე ბევრად მეტი.

◆ ქალაქის საბჭოს ჰყოლია სულ 38 სხვა და სხვა კომისია; ამათგან ზოგს ორი სხდომის მეტი არ ჰქონია წლის განმავლობაში, ზოგს სრულებითაც არა. არიან იმისთანა კომისიები, რომლებმაც საკუთარი არსებობაც კი არ იციან და გაუგებენ ამას მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქის თავი წინადადებას შეიტანს საბჭოში, ამოირჩიეთ ამ და ამ კომისიის ახალი წევრები, რადგან ძველები საქმეს არას აკეთებენო.

◆ საბალოსნო სკოლის მზრუნველმა წარუდგინა სამეურნეო საზოგადოების რჩევას მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი მთელის სკოლას — 16 ათასი მანეთი და უდიდესი შემოსავალი კი 13 ათასი იქნება. შემოსავლის შემცირების მიზეზი არის სკოლის ბაღიდან მცენარეების გაყიდვის აკრძალვა, რომელიც გამოწვეულია ფესვების „სიდამპლის“ გავრცელების შიშით.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თვის უკანასკნელს სხდომაზედ ქალაქის სატყეო კომისიასთან ერთად დაადგინა: 1) შემუშავებულ იქმნეს სავალდებულო დადგენილებანი ტფილისის ქუჩებზედ ხეების დარგვის შესახებ, 2) დაევალოს გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს გამოარკვიოს ქალაქის მიწების მზომელის შემწეობით ქალაქის მიწების სამზღვრები პიროქსილინის საწყობებთან და 3) ეხლავე შეუდგნენ ქალაქის საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანას ამ საწყობების ქალაქის გარედ გადატანის შესახებ და ცნობილ იქმნეს, რომ ქუჩებზე დარგული ხეები ქალაქის საკუთრებას შეადგენს.

◆ რადგანაც ტფილისის საბალოსნო სკოლაში და მუშტაიდში მცენარეებს სიდამპლე გაუჩნდათ, ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თანახმად ტყის მომშენებელ კომისიის თავმჯდომარის განცხადებისა, დაადგინა ეთხოვოს ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეს, მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება, რათა ეს სიდამპლე არ გადავიდეს ქალაქის სანერგეში და მოშენებულ ადგილებში, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საჭირო ფული.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უზარალნია ვენახების საქიმო მასალების ვაჭრობაში 2000 მანეთი.

◆ გადასახადთა რეფორმის მიზეზით, აღძრულა კითხვა ახალ სახაზინო პალატის დაარსების შესახებ.

◆ ქალაქის გამგეობამ 13 დეკემბერს თავის უკანასკნელს სხდომაზე კენჭი უყარა ქალაქის სავაჭრო დეპუტატებს, რომელთაც რიგით ეხლა უთავდებათ ვადა. კენჭის ყრით დეპუტატის თამამდებობიდგან განთავისუფლებულ იქმნენ შემდეგნი პირნი: ი. ზ. ნათიაშვილი, ი. ა. სუჯანადიანცი, ტ. ს. სტეფანიანი, ვ. გ. ზურაბიანი და გ. ნ. კვეზერელი კოპაძე. ამის გამო გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს 18 დეკემბერს ქალაქის საბჭოს მოხსენება ქალაქის სავაჭრო დეპუტატის ხუთის წევრის ამორჩევის შესახებ.

სიც უნახავს საფრანგეთის ერს; ცარიელის პრეზიდენტობით იმათ ვერავინ გააკვირვებდა. არა, კრიუგერი წასდგა მათს წინაშე, როგორც წარმომადგენელი ტანჯულის ერისა, მისის დარდ-ვარამის გამომთქმელი და მღაღადებელი, წარსდგა, როგორც მებრძოლი დათრგუნვილის სიმართლისათვის, როგორც უმანკო მსხვერპლი ძალმომრეობისა, ადამიანის სიმხეცისა... მარსელელთა თვალში კრიუგერი წმინდანის და მოწამის შარავანდედით იყო მოსილი. და, ამის შემდეგ, რა გასაკვირველია, ასეთს კაცს არა ჩვეულებრივის და, მართლა, საკვირველის პატივისცემით მიჰგებებოდნენ საფრანგეთის შვილნი. ყველანი, სადღესასწაულოდ გამზადებული, ნავთ-სადგურთან იყვნენ მომზადებული, რათა ძვირფას სტუმრისათვის ერთხმივ ეთქვათ: „მშვიდობით მოხველ!“

ხმელეთზე ფეხი დასდგა თუ არა კრიუგერმა, „ბურთა დამოუკიდებლობის“ მარსელის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა ტურელმა მშვიდობით მოსვლა მიულოცა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირს, დიდს მოქალაქეს, ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტს პავლე კრიუგერს. ტურელის შემდეგ სიტყვა უთხრა ბ-ნმა პოლიომ, „ბურთა დამოუკიდებლობის“ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ. ხალხი განუწყვეტლივ ჰყვიროდა: „გაუმარჯოს კრიუგერს, გაუმარჯოს ბურებს!“..

კრიუგერმაც, მაგარის ხმით ჰოლანდიურს ენაზე, შემდეგის სიტყვით მიჰმართა თავის მასპინძლებს:

„სულითა და გულით ვმადლობ „ბურების დამოუკიდებლობის“-ათვის დაარსებულ მარსელისა და ცენტრალურ კომიტეტების თავმჯდომარეთ მათის მოლოცვისათვის. ვმადლობ ამ მცხოვრებთაც, ჩემდა მოსასალმებლად თავმოყრილთ. მე ჩემის ქვეყნის უბედურების ძაძას ვატარებ და აქ სამხიარულოდ არ მოვსულვარ, მაგრამ მაინც სულითა და გულით ვუსმენ თქვენს ძახილს, სიხარულის გამომთქმელს, ამიტომ რომ, ვიცი, ეს ძახილი, ეს სიხარული — შედეგია თქვენის გაკვირვებისა, ჩვენის განსაცდელის მიერ გამოწვეულ გაკვირვებისა, შედეგია აგრეთვე იმ სიმპატიისა, რომელსაც თქვენს გულში აღვიძებს საქმე თავისუფლებისა.

„მართლაც და, ვამაყობ და თავი ბედნიერად მიმაჩნია, რომ საფრანგეთის ნავთ-სადგური ამოვარჩიე ხმელეთზე გამოსასვლელად, რომ ფეხი დავდგი თავისუფალ ნიადაგზე და რომ მიღებულ ვიქმენ თქვენმიერ, ვითარცა თავისუფალი კაცი.

„ყოველთ უწინარეს ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ მადლობა მოვახსენო თქვენს მთავრობას მთელ იმ პატივისათვის, რომელიცა გვცა და რომლის ღირსი ამას წინადაც — ჩვენის განსაცდელის ხანებშიაც — გაგვხადა.

„ინგლისს რომ კარგად სცოდნოდა მთელი საქმის ვითარება, ჩემის ფიქრით, თავის დღეში არ აგვიტეხდა ომს. ჯემსონის გალაშქრების დროიდანვე მოყოლებული, იმ ჯემსონისა, რომელსაც თოფის დაუცლელად უნდოდა ორი რესპუბლიკის აღება, სულ იმას გავიძახდი, რომ ჩვენი საქმე სამედიატორო სამართლით გაერჩია ინგლისს. გარნა დღევანდლამდე უყურადღებოდ არის დატოვებული ჩემი განცხადება.

„ამ ბრძოლამ, რომელიც ორს რესპუბლიკას აგვიტეხეს, ბარბაროსობის უმწვერვალესს წერტილს მიაღწია. ჩემს სიცოცხლეში არა ერთგზის მქონია შემთხვევა აფრიკის ბარბაროსებთან ბრძოლისა, გარნა იმ ბარბაროსთ, რომელნიც ახლა უნდა მოვიგეროთ, ყველა ბარბაროსებს გადააჭარბეს თავიანთის ულმობელობით.

„მათმა სიმკაცრემ იქამდე მიაღწია, რომ კაფრებიც კი მოგვისიეს. გვიწვავენ სახლკარს, რომელთა აშენებაზე ესოდენი ოფლი დავღვარეთ; ღვთის ანაბარა აგდებენ ცოლშვილს იმ ქმრებისა და მამებისას, რომელნიც ან ომში დაიხოცნენ, ან-და ტყვეებად არიან წასხმულნი, და ამ საცოდავთ უმწეოდ, უშემოდ და ხშირად უპუროდაც კი სტოვებენ.

„გარნა რაც უნდა ჰქნან, ჩვენ მაინც თავის დღეში ქედს არ მოვიხრით და არ დავმორჩილდებით. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. დიადი და ურყეველია ჩვენი იმედი დაუსაბამის ჩვენის უფლის მიმართ! ჩვენ მართალნი ვართ და თუ, ვინიცობაა, ადამის შვილნი სამართალს მოგვაკლებენ, დაუსაბამო, რომელიც პატრონია ხალხთა და რომელსაც აწმყო ეკუთვნის, ხელს არ აგვალებს.

„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ტრანსვაალი და თავისუფალი მთავრობა ორანჟესი მაშინ-ღა დაჰკარგავენ თავიანთს დამოუკიდებლობას, როცა ორისავ ადგილების ბურებს თავიანთის ცოლ-შვილით ამოსწყვეტავენ“.

კრიუგერის სიტყვა ხალხს გადაუთარგმნეს თუ არა, გაისმა აღტაცებული და განუწყვეტელი ტაშის კვრა და თან ყვირილი: „გაუმარჯოს კრიუგერს!“

მოსასვენებლად კრიუგერს სასტუმრო „ნოელ“-ი ჰქონდა მომზადებული. ნავთსადგურიდან სასტუმრომდე თუმცა მანძილი პატარა იყო, მაგრამ მთელი საათი მოანდომეს გზას, რადგან მთელი ქალაქის ხალხი მოზღვავდა და საძრაობა არსად იყო. მთელი ეს გზა კრიუგერისათვის დიდებისა და გამარჯვებისა იყო. გზაში ერთი სამწუხარო ინციდენტი მოხდა. „ნოელი“-ს სასტუმროს რომ მიუახლოვდნენ, იქვე მეზობლად „ლუვრის“ სასტუმროდან ორმა ინგლისელმა სტვენა დაიწყეს და იმავე დროს ხალხში ფრანგული შავი ფული გადმოის-

ივერიელი

◆ კავკასიის მთავარ-მართებელს წარედგინა საქმე ალექსანდროპოლის მაზრის უფროსის სემიონკოვსკი-კურილოს და დისტანციის უფროსის ვიზიროვისა, რომელთაც ჰბრალდებათ სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აცხადებს, რომ უმანის სამეურნეო სკოლაში განთავისუფლდა ერთი კავკასიის სტიპენდია. სტიპენდიანტად მიიღება სკოლაში ყველა წოდების და სარწმუნოების კავკასიელი. პირველ კლასში შესვლის მსურველი უნდა იყოს ხნით არა ნაკლებ 14 წლის და არა უმეტეს 16-სა, მეორეში-არა ნაკლებ 15-ისა და არა უმეტეს 17-ისა და მესამეში (შემდეგ კლასსებში ახალი მოსწავლენი არ მიიღებიან) არა ნაკლებ 17-ისა. პირველ კლასში უეგზამენოდ მიიღებიან სამაზრო, სამოქალაქო და სასოფლო ორკლასიან სკოლებში კურს-დამთავრებულნი. თხოვნებს მიიღებენ სამზრუნველოს კანცელარიაში 1901 სლის 15 იანვრამდე. თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას სიღარიბის მოწმობაც.

◆ ამ მოკლე ხანში ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. სვეჩინი დაჰნიშნავს კომისიას ტფილისის გუბერნიის სამეურნეო თანხმებისა და პურის საწყობების წესდების პროექტის ხელახალ გადასინჯვისათვის („ტფილ. ფურც.“)

◆ მიწად-მოქმედების რწმუნებულის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში წლიურად მოჰყავთ 132,000 ფუთი თამბაქო (ტფილისის გუბერნიაში მხოლოდ 30,000 ფუთი) თამბაქოს მოწევა თანაბრად არ არის განაწილებული ხსენებულ გუბერნიის ყველა ნაწილებში; თამბაქოს უდიდესი პლანტაციები არის სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოლქებში; დანარჩენ შვიდ მაზრაში თამბაქოს მოყვანა გავრცელებულია მარტო ოზურგეთის მაზრაში და ამ მაზრაშიაც მხოლოდ ჩოხატაურის საბოქაულოში.

თამბაქოს პლანტაციები ყველაზე მეტი სოხუმის ოლქშია (3,300 პლანტაცია, ზომით 3,045 დესიატინა); სოხუმისას მიჰყვება ართვინის ოლქი. ბათუმის ოლქშია 1,100 პლანტაცია. ბათუმისა და ართვინის თამბაქო უმთავრესად მოაქვთ ტფილისში, ბაქოში, კრიმში და ოდესაში, სოხუმისა კი პეტერბურგში. ოზურგეთის მაზრაში და ბათუმის ოლქში თამბაქო მოჰყავთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთ; ართვინის ოლქში თამბაქოს პლანტაციებში მუშაობენ თვითონ ართვინელები და ოსმალოდან მოსული მუშა მეთამბაქოები. ბათუმის ოლქის პლანტოტორების რიცხვია 1240, ართვინის ოლქში პლანტაციებში მომუშავეთა რიცხვია — 2500 სული, ამათში 1400 მამაკაცი და 1100 დედა-კაცი. ართვინის ოლქში ქირის მუშები მეპატრონეებთან ერთად სცხოვრობენ და მათი საჭმელი უფრო ხშირად უკეთესია, ვიდრე იმ ადგილობრივ მკვიდრთა, რომელთაც თამბაქო არ მოჰყავთ. სულ სხვა გარემოებაა სოხუმის ოლქში. აქ თამბაქო მოჰყავთ უმთავრესად ოსმალელ სომხებსა და ბერძნებს; მხოლოდ ამ ბოლოს დროს, როცა სიმინდის ფასმა დაიწია, აფხაზებმაც და მეგრელებმაც მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. თამბაქოს სთესენ იჯარით აღებულ ადგილებში. პლანტაციებზე მომუშავეთა რიცხვი უდრის 9000-ს, ამათში 4000 პლანტოტორიები და მუშებია ადგილობრივ მცხოვრებთაგან, 3000 ოსმალელი სომხები, ბერძნები და ოსმალოები არიან და 2000 ყუბანის ოლქიდან მოსული მუშები.

თუ ბათუმისა და ართვინის ოლქების პლანტაციების სანიტარული მდგომარეობა, მუშების სასმელ-საჭმელი და მესაკუთრეების და მუშების დამოკიდებულება რიგიანია, სოხუმის ოლქის შესახებ ამის თქმა შეუძლებელია: აქაურ მუშების სადგომები დაწნული ქოხებია, მუშებს სძინავთ პირდაპირ მიწაზე, აქვე ხდება მუშაობა, საჭმელიც ცუდი აქვთ მუშებს. გარდა ამისა, რადგანაც იქეთ მხარეს იაფი კრედიტი არ არის, თვით პლანტატორები და მათი მუშები ჩარჩების მსხვერპლები ხდებიან. ხშირად პლანტატორი სრულებითაც ვერ აძლევს მუშას ქირას, რადგან იგი ჩარჩის ხელშია და მთელი მისი ქონება მას მიაქვს.

◆ შაბათს, 9 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის, სოფ. ნიკოლოზ მცხოვრებას სიდო ხურხულს ძის ფირცხელავასი, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მას 1898 წლის 26 იანვარს განცხადება მიუცია ოჩამჩირეს პირველ ნაწილის გამომძიებლისათვის, რომელშიდაც ვექსილის მოპარვას აბრალებდა ქვრივს კესარია გუნიასას და თხოულობდა, პასუხის გებაში მიეცათ ქვრივი გუნიასი. ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განუხილავს 1899 წ. 11 მაისს, დამნაშავედ უცვნია ფირცხელავა ცილის წამებაში და მიუსაჯნია 2 თვით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ამავე დღეს პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გარდაწყვეტილი აქვს სენაკის მაზრის, სოფ. სახარბედიოს მცხოვრებს ანტონ პეტრეს ძე ეჯიბიას 6 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. ანტონ ეჯიბიას ის ბრალი ედებოდა, რომ მან, 1898 წლის 4 ივნისს, თეიმურაზ ეჯიბიასთან წაჩხუბების დროს, ისე მძიმედ დაჰკრა ამ უკანასკნელს წალდი შუბლში, რომ თეიმურაზს ამ ჭრილობით მარჯვენა თვალი დაუბრმავდა.

◆ ამ დღეებში ტფილისის დამოჟნის უფროსმა დამოჟნის დარაჯებით და პოლიციელებით გაჩხრიკა ერთი სადგომი ფერნაძის სახლში წყაროს უბანში (პოლიც. 1 ნაწილში) და ნახა დიდძალი საზღვარ-გარეთული მატერიები, რომელთაც არ ჰქონდათ სავალდებულო სადამოჟნო ბეჭედი. როგორც აღმოჩნდა, მატერია ყოფილა ერვიეს საკუთრება. ხოლო სადგომის პატრონს მიბარებული ჰქონია. საქონელი ჩამორთმეულია სანამ საქმე გამოირკვევა.

◆ „არტელშჩიკი“ როდნიევი, რომელიც ვითომ ავაზაკებს უნდა გაეძარცვათ და დაეჭრათ კიდეც, ეხლა სრულებით კარგად არის და ისევ იმეორებს, რომ მას მართლა ავაზაკები დაესხნენ თავზე.

◆ ხვალ მოხდება ქალაქის ყველა სკოლების გამგეობის შეერთებული კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს სად და როგორ მოაწყონ მოსწავლეთათვის საშობაო ხე.

◆ სოფ მერეთში (ცხინვალის საბოქაულო) 25 ნოემბერს მომხდარა შემდეგი უბედურება: ხსენებული სოფლის სამი გლეხი — კაპანაძე, ბაიაძე და ოქროპირიძე წისქვილში იყვნენ საფქვავად. გათენებისას, როგორც სიკვდილს გადარჩენილი ოქროპირიძე ამბობს, მათ რაღაც საშინელი ხმაურობა მოესმათ; ოქროპირიძე, რომელიც ფანჯარასთან მდგარიყო, გარედ გამოვარდნილიყო და და დაენახა, რომ წისქვილის სახურავი ჩაწოლილიყო. ოქროპირიძის ყვირილზე სოფლელები მოსულან, მაგრამ გვიანღა იყო: კაპანაძე მკვდარი დახვდათ და ბაიაძე მძიმედ დაშავებული.

◆ კვირას, 10 დეკემბერს, რკინის გზის სადგურ ბორჯომში რელსების მოგროვების დროს მუშას, დუშეთის მაზრის, სოფელ ოძისის მცხოვრებს პავლე გელაშვილს დასცემია რკინა და მარცხენა ხელის ორი თითი მოუწყვეტია. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

◆ სამშაბათს, 12 დეკემბერს, პოლიციის მე-2 ნაწილში გამოცხადდა განჯის მცხოვრები ლეონ თემურაზის ძე მელიქ-შნაჯანოვი და განაცხადა, რომ «დანიის» ნომერში ვიღაც ბოროტ განმზრახველმა ჯიბიდან 80 მანეთი ამოაცალა. ქურდობის ეჭვი შეუტანი ნომრების მსახურ ერმოლე ზაქარაიაზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ სამშაბათს, 12 დეკემბერს, პოლიციის მე 4 ნაწილში, საღამოს 6 საათზე, ვიღაც ბოროტ განმზრახველს უმცროსი ცენზორის გრიგოლ კარახანოვის ბინიდან მოუპარავს ერთი ნაბადი, პალტო და სხვა ნივთები, სულ 60 მან. ღირებული. ეჭვი არავიზედ არ აქვთ. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში 8 დეკემბერს ტფილისის პოლკის პარუჩიკის ალექსანდრე ზაზულევიჩის ბინიდან მოუპარავთ ხუთი პალტო: ორი ზაზულევიჩის, ორი მისი ძმის ალექსისა და ერთიც დრაგუნის პოლკის კორნეტის თავ. ნიკოლოზ ერისთავისა. პოლიციას ქურდები უკვე დაუპატიმრებია; ესენი აღმოჩნდნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი მამედ-ისლამ ოღლი, ისა-მამედოღლი და შავერან-ალიანა-ოღლი. აღმოჩნდნენ აგრეთვე პალტოებიც: ორი ქურდების ბინაზე, სამიც სომხის ბაზარში ვიღაც ლეკისას და ძველ მეტანისამოსესთან. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

ქავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

სამშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგა კრება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა, რომელზედაც განსახილველად ჰქონდათ ის საკითხი, თუ რამდენად მოხერხებული იქნება ტფილისის საბაღოსნო სკოლის ეზო მომავალ წლის სასოფლო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად. კრება, რომელსაც დაესწრო 20 წევრი და აგრეთვე გარეშენიც, დაიწყო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის უგან. თავ. პ. ა გრუზინსკის თავმჯდომარეობით. კრებას წარედგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ საზოგადოების საბჭომ საბოლოვოდ გარდასწყვიტა გამართოს მომავალსწელში სამრეწველო გამოფენა საბაღოსნო სკოლის ეზოში. როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავრობამ შეუძლებელად სცნო გამოფენისათვის ალექსანდრეს ბაღი და მიანდო განსაკუთრებულს კომიტეტს გამოეძებნა გამოფენისათვის საუკეთესო და მოსახერხებელი ადგილი. კომიტეტი შეჩერებულა საბაღოსნო სკოლის ეზოზე და მასთან ერთად რამოდენიმე ნაწილი მუშტაიდის ბაღისა უვარაუდნია ეზოს მისამატებლად.

საზოგადოებას საბაღოსნო სკოლის მზრუნველმა ბ-ნმა ფიგუროვსკიმ წარუდგინა ვრცე-

---

როლეს, ვითომ: ქირად მიიღეთ, რომ შრომა გასწიეთ და მაწანწალა კრიუგერს ოვაცია გაუკეთეთო. შეურაცხყოფილმა თაყვანის-მცემლებმა კრიუგერისამ არ იცოდნენ, რითი გადაეხადნათ სამაგიერო ინგლისელთათვის, რომელთაც ძვირფასი სტუმრის გალანძღვა მოინდომეს ამ უკმეხი საქციელით. ეკვეთნენ სასტუმროს და ის იყო, საქმე სისხლით უნდა გათავებულიყო, რომ ამ დროს სასტუმროს პატრონს კარები არ მიეხურნა საჩქაროზე. ამავე დროს ერთმა მარსელელმა ერთი მუჭა ოქროს ფული გაისროლა და მიაძახა: „წაიღეთ ეს ოქრო! წაიღეთ, დაგჭირდებათ! თქვენი ქვეყანა გაოხრებულია“. უკეთესი პასუხი არ შეიძლებოდა და გაალმასებული ხალხიც, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა. სასტუმროს კარები მიიხურა თუ არა, მაშინათვე მოსამსახურეები გამოცვნენ და ხელსახოცების ქნევა და ვაშას ძახილი დაიწყეს. ინგლისელები კი დაიმალნენ. მთელი დღის განმავლობაში ამ სასტუმროს გააფთრებული ხალხი გარს ეხვია. ინგლისელებს ამით უნდოდათ ჩაეფუჩეჩებინათ დღესასწაულური ხასიათი კრიუგერის დახვედრისა, მაგრამ საწადელს ვერ ეღწივნენ. თვით ინგლისის ელჩს ორის დღის წინად კრიუგერის სალანძღავი წიგნაკები დაურიგებია. მაგრამ ხალხს მაინც წესიერად ეჭირა თავი. ვისაც მათის სტუმრის შეურაცხყოფა უნდოდა, უკივლეს; რომ არ დაემალათ, თავ-ბედს აწყევლინებდნენ.

კრიუგერი სასტუმროში ჩამოხდა თუ არა, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლუბეს:

„ბატონო პრეზიდენტო!

„ფეხი დავდგი თუ არა საფრანგეთის სტუმართ-მოყვარე ნიადაგზე, ყოველთ უწინარეს სალამს გიძღვნით ღირსეულს წინამძღოლს საფრანგეთის რესპუბლიკისას და გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემის მადლობისა იმ ყურადღებისათვის, რომლითაც თქვენმა მთავრობამ და თქვენმა ქვეყანამ კეთილ ინებეს მომქცეოდნენ“.

ორ საათზე წარუდგა კრიუგერს მარსელის ქალაქის თავი და გადასცა აუარებელი ადრესები, რომელთა გადაცემაც მას ჰქონდა მინდობილი. მერე სადარბაზოდ მივიდნენ პრეფექტები და სხვა-და-სხვა ადგილებისა და საზოგადოებათა დელეგატები. სასტუმროს კიბეები და ოთახები ხალხით იყო გაჭედილი.

ნასაუზმევს, 3 საათზე, მოვიდა „ბურების დამოუკიდებლობის“ მარსელის კომიტეტის თავმჯდომარე და კრიუგერს გადასცა ხელოვნური ნივთი შემდეგის აზრის გამომხატველის წარწერით: „კერის დაცვა“, რაზედაც კრიუგერმა მადლობასთან ერთად უპასუხა:

„დიდის სიამოვნებით ვღებულობ მშვენიერს სახსოვარს, რომელსაც თქვენ მიძღვნით და რომელიც თქვენის სიმპატიის გამომხატველია.

„სწორედ თავიანთის კერის დასაცველად აისხეს ბურებმა თოფ-იარაღი; სწორედ თავიანთის კერის დასაცველად იბრძვიან შეუდრეკელის მხნეობით და გულ-მოდგინეობით.

„სულითა და გულით გმადლობთ. ამავე დროს ვმადლობ მთელის საფრანგეთის ერს, რომლის თანაგრძნობაც იმდენად ჩვენ, ბურებს, არ გვეკუთვნის (ფრანგები ჯერ კიდევ კარგად არ გვიცნობენ), რამდენადაც თვით საქმეს ჩვენსას, რომელიც არის საქმე სიმართლისა და თავისუფლებისა. დიდად და დიდად გმადლობთ.

„საფრანგეთში, ვიცი, სიმართლისა და თავისუფლებისათვის ზრუნვა ყოველს ზრუნვაზე მაღლა სდგას. ბურების საქმე არც წასულია ხელიდან და არც უნუგეშოა. პირიქით, არ დავუმორჩილებივართ ხმალს. თუ მოგვერია რამე, მოგვერია რიცხვ-მრავლობა და თავ-დასხმა მტრისა. და ვინაიდან სიმართლე ჩვენს მხარეს არის, სამართალი, შეწევნითა ღვთისათა, დასთრგუნავს რიცხვ-მრავლობას მტრისას“.

დამსწრენი დაუსრულებელის ტაშის ცემით მიეგებნენ კრიუგერის სიტყვას. მერე წარუდგნენ წარმომადგენელნი ქალაქის თვითმმართველობისა, პრესსისა, სასულიერო წოდებისა, სამხედრონი და სხვ.

23 (10) ნოემბერს კრიუგერმა სასტუმრო დასტოვა და თავის მინისტრების თანახლებით სადგურისაკენ გაემართა პარიზში წასასვლელად. მთელი გზა ხალხით იყო გაჭედილი და „გაუმარჯოს კრიუგერს“-ის ძახილით ისტუმრებდა ძვირფას სტუმარს. სადგურზე ვაგონიდან პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მარსელის მოქალაქეთ და სთქვა· იმედი მაქვს ამნაირივე თანაგრძნობა არ მომაკლდება საფრანგეთის სხვა ქალაქებშიაც და ამ თანაგრძნობას თან მოჰყვება ჩვენი განზრახვა და ჩვენის საქმის სასურველად გათავებაო.

სანამ მატარებელი დაიძროდა, ბ-ნმა ტურელმა სალამი მისცა და გზა დაულოცა „ბურთა დამოუკიდებლობის“ კომიტეტის ყველა წევრების მხრივ. დაუსრულებელის «Yive Kruger»-ის ძახილით მატარებელიც დაიძრა. ტარასკონში კრიუგერს წარუდგა ქალაქის თვითმმართველობის დელეგატი. ავინიონში „ბრძოლის შვილების“ საზოგადოება დოლის კვრით დაუხვდა. თან მიართვეს ერთი კალათა ყვავილები ფრანგებისა და ბურების დროშების ფერებისა. ქალაქის წარმომადგენელმა შესაფერი სიტყვა უთხრა; ლიონში სტუდენტებმა თაიგული მიართვეს; დიჟონში ქალაქის თავი მიეგება და აუარებელი ხალხი. იმ ღამეს კრიუგერი იქ დარჩა.

ს—ა

(დასასრული იქნება:)

ლი, მოხსენება თუ რატომ იქნება შეუძლებელი სკოლის ეზოში გამოფენის გამართვა; მისი აზრით, ჯერ ერთი, რომ თავისუფალი ადგილი ცოტაა და ამის გარდა შიგა და შიგ ბაღის ზოგიერთ ნაწილებში მოდებულია ნერგების ავადმყოფობა—ფესვის სიდამპლე, რითაც დაზარალებულია სულ 4094 ოთხ. კუთ. საჟ. და რაც დაუზარალებელი ადგილია, იქ უნდა გადირგოს სალი ნერგები. ესეც არ იყოს, ეხლავე უნდა ზომები გამოვსძებნოთ და ამ ავადმყოფობას შევებრძოლოთ, რომ სკოლის საქმე სათუო მდგომარეობაში არ ჩადგესო. მართალია 3000 ოთხ. კ საჟ. მიწა იქნება გამოფენისათვის, მაგრამ ეს არ იკმარებს და მუშტაიდის ბაღის სკოლის ეზოსთან შეერთება კი ყოვლად მოუხერხებელი იქმნება და ამასთანავე ერთი წელიწადი გასტანს გამოფენა და ეს დრო აღნიშნულ სენს უფრო და უფრო გაავრცელებს ბაღშიო.

თავ ი. ზ. ანდრონიკაშვილმა დიდხანს ილაპარაკა სკოლის ეზოში ავადმყოფობის გავრცელების შესახებ, რომლის სიტყვით, ბაღი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია აღმოჩენილი ავადმყოფობისაგან. ნერგების ავადმყოფობაო, განაგრძო მან, როგორც ბ-ნი ფიგუროვსკი ამბობს, ერთსა და ორს ადგილზე კი არა, მთელ ბაღში იმდენად მოდებულია, რომ სრულიად უსარგებლოდ და უნაყოფოდ ჩაგვივლის მის ნიადაგზე მუშაობის განგრძობა. ფიგუროვსკი ამბობს, რომ ეხლავე უნდა ვუწამლოთ ხეებსო. ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც, როგორც მეცნიერება და გამოცდილება გვიჩვენებს, ნერგების ფესვთა სიდამპლესთან ასე ბრძოლა უნაყოფო იქმნება, მით უმეტეს, რომ ნოტიო ჰაერზე, ტალახად ქცეულ ნიადაგის გათხრა და ხეების ფესვებისათვის წამლის შესხურება ვერავითარს ძალას ვერ მიატანს ავადმყოფობის მოსასპობლადაო. ჩვენ დეზინფექციის შემდეგ ორი წლის განმავლობაში სრულიად უნდა შევსწყვიტოთ ბაღის დამუშავება, და ამიტომაც არა უშავს-რა ბაღის ასეთი მდგომარეობით ვისარგებლოთ და იქ გამოფენა გავმართოთო.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. რადგანაც სკოლის ბაღში ამდენად ნერგების ავადმყოფობა ყოფილა მოდებული, საჭიროა, რომ გამოფენისათვის სანერგე ადგილი სხვაგან მოიძებნოსო.

აგრ. სააკოვი. მე მონდობილი მქონდა გამომეკვლია საბაღოსნო სკოლის ეზოში, თუ რამდენად გავრცელებულია ფესვის სიდამპლე და აღმოჩნდა, რომ არამც თუ, როგორც ბ-ნი ფიგუროვსკი აცხადებს, 4094 ოთხ-კუთ. საჟ., არამედ მთელს ბაღში ეს ავადმყოფობაა მოდებულიო. აქ აცხადებენ, ვითომც ეს ავადმყოფობა ერთი წელიწადია გაჩენილიყოს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც, როგორც ზოგიერთ ავტორიტეტთა გამოცდილება გვიჩვენებს, ფესვის სიდამპლეს ასე მცირე ხნის განმავლობაში გავრცელება არ შეუძლიან. ეს თითქმის სამი-ოთხი წლიდანაც უნდა იყოს გაჩენილი ბაღში და ეხლა კი შეუტყვიათო. აქ ამის შემდეგ არავითარი რაციონალური მეურნეობის გაგრძელება არ შეიძლება; თუმცა სამწუხაროა ეს გარემოება, მაგრამ რა ვქნათ, თუ ნამდვილად ასეთი ფაქტია. საბაღოსნო სკოლისათვის ადგილი სხვაგან უნდა მოიძებნოსო.

ბ. ფიგუროვსკი. ყოველს შემთხვევაში ასეთი სერიოზული საკითხის ასე ნაჩქარეულად გარდაწყვეტა შეუძლებელია. ჩვენ ჯერ უნდა ამ გარემოებას შევებრძოლოთ და, თუ შედეგი კარგი არ იქმნება, მაშინ გვმართებს იმაზე მსჯელობა, თუ სად გამოვნახოთ საბაღოსნო სკოლისათვის ადგილიო.

უგ. თავ. პ. გრუზინსკი. ჩვენ შევიკრიბეთ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოსახერხებელია საბაღოსნო სკოლის ეზო გამოფენისათვის. სამი წელიწადია, საზოგადოებას სისტემატიურად მეტი-და-მეტი ზარალი აქვს საბაღოსნო სკოლისაგან. საზოგადოებას თითქმის საშუალებაც შემოელია სკოლის ბაღის ასეთ მდგომარეობასთან საბრძოლველად, სკოლის მზრუნველი ხარჯს თხოულობს და შემოსავალი კი არა სჩანს-რა; ყოველს შემთხვევაშ, ამ საგნის შესახებ შემდეგ გვექმნება მსჯელობა და ეხლა ის უნდა გარდავსწყვიტოთ, ივარგებს თუ არა ეს ადგილი გამოფენისათვის. თავმჯდომარის წინადადებაზე კრებამ ხმის უმეტესობით დაამტკიცა საზოგადოების საბჭოს დადგენილება საბაღოსნო სკოლის ეზოში მომავალ სასოფლო-სამრეწველო გამოფენის გამართვის შესახებ. კრებამ აგრეთვე, ბ. ა. მ. ევანგულოვის განცხადების თანახმად, დაადგინა დაავალოს საზოგადოების სამეურნეო კომიტეტს სკოლის მზრუნველთან ერთად შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საზოგადოებას მოხსენება, თუ რა უყონ სკოლას, როგორ გააუმჯობესონ სკოლის ბაღის მდგომარეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სად გადაიტანონ და სხვ. კომიტეტმა მოხსენება საზოგადოებას ერთი თვის განმავლობაში უნდა წარმოუდგინოს. დასასრულ, კრებამ, თანახმად ბ. ი. ქუთათელაძის განცხადებისა, ამოირჩია ორი წარმომადგენელი—ბ ნნი ვ. ნ. გეევსკი და ი. გ. ენიკოლოპოვი კვირას კავკასიის სააბრეშუმო სადგურში მეაბრეშუმეთა პირველს კრებაზე დასასწრებლად.

პროვინცია

ქუთაისი. 9 დეკემბერს ქუთ. გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ დასტოვა უყურადღებოდ საჩივარი გამგეობის წევრის არჩევნებზე და დაამტკიცა წევრად ბ-ნი გველესიანი. ახალი წევრი გამგეობისა ახალგაზდა კაცია და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული. იმედია, ის მხნედ შეუდგება ჩვენი ქალაქის ბედიღბლის საქმეს და ეცდება არ იხმაროს ის ფარხმალი, რომელიც მან იხმარა არჩევნების დროს დღეს ქუთაისში სუყველასთვის აშკარაა, რომ ბ-ნი გველესიანი ეგრედ წოდებულ ოპოზიციის კანდიდატი არ ყოფილა და რომ ის გაიყვანა გამგეობის წევრად ოპოზიციის წინააღმდეგ პარტიამ. მართალია, აქამდინ ბ-ნი გველესიანი ითვლებოდა ოპოზიციის წევრად, მართალია, ის აშკარადაც ადიარებდა ამას და იმეორებდა, რასაც კი ოპოზიციის წევრები ქადაგებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს მან პოზიცია გამოიცვალა და წინ დაუდგა ოპოზიციის სურვილებს. ოპოზიციას ჰსურდა აერჩია წევრად ისევ გაბაშვილი, რომლის ხანგრძლივი და პატიოსანი სამსახურით ის იყო კმაყოფილი. ოპოზიციამ, რასაკვირველია, იცოდა, რომ იქნებოდა გამგეობის წევრის არჩევნები, მაგრამ ის სრულებითაც არ მოელოდა ბ-ნ გაბაშვილის უარს და არც იყო მომზადებული ამ შემთხვევისათვის. მან მხოლოდ კრებაზე გაიგო, რომ გაბაშვილი უარს აცხადებს თავის კანდიდატობაზე. ოპოზიციამ, რომ არ შემცდარიყო არჩევანში, ითხოვა კრების გადადება ამ საქმის შესახებ; მაგრამ უმეტესობამ არ დაინახა ეს საჭიროდ და მოახდინა არჩევნები 6 ნოემბერს ამ წლისას. უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის თხოვნა სამართლიანი იყო და სრულებითაც მეტი არ არის, რომ კაცი არ აუჩქარდეს და დაფიქრებით მოეკიდოს იმ გვარ საქმეს, როგორიც არის გამგეობის წევრის ამორჩევა. საზოგადო მოღვაწისაგან ჩვენ მოვითხოვთ მხნეობას, ენერგიას, ფართო და მტკიცე პროგრამას, საქმეების ცოდნას, პატიოსნებას და შეურყეველ მიმართულებას; ამასთანავე საჭიროა გულახდილი და არა ფარული მოღვაწეობა ..

ოპოზიციამ, გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ითხოვა დრო მოფიქრებისთვის, რომ აერჩია ღირსი კაცი იმისთანა დარიბ და უკონომიურად დაქვეითებულ ქალაქისათვის, როგორიც არის ქუთაისი. ადვილი შესაძლებელია ის თათბირის შემდეგაც გაჩერებულიყო ბ-ნ გველესიანზე და აერჩია წევრად, მხოლოდ საჭიროება და საქმის სარგებლობაც მოითხოვდა კანდიდატის გაცნობას, იმის გაგებას, თუ გამგეობის ახალი წევრი რამდენად გამოჭხატავს და გაახორციელებს თავის ამომრჩევლების სურვილებს. ამ მხრივ ოპოზიციის საქციელი მოსაწონია და დიდათ სცდებიან ისინი, ვინც ამტყუნებს მას ამ შემთხვევაში. ეხლა საქმეს მოელო ბოლო, ბ-ნი გველესიანი უკვე დამტკიცებულია გამგეობის წევრად და ამ დღეებში შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას. ვისურვებთ, რომ ახალი წევრი გამგეობისა მედგრად შეუდგეს საქმეს და გულწრფელი მოღვაწეობით გაიცნოს თავი მათ, ვინც მას ჯერ არ იცნობს. სამუშაო ბევრია, ხოლო სურვილი, საქმის სიყვარული, ცოდნა და გულახდილი მოღვაწეობა არის საჭირო და სასარგებლო.

9 დეკემბერს იყო მოსმენილი გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საკრებულოსაგან სხვა საქმეებიც, რომელთა შორის, საყურადღებოა ქ. ოზურგეთის მოურავის საქმე და ქუთაისში ელექტრონის ტრამვაის გაწყობა

პირველი საქმე საკრებულომ გადასცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, რომელიც შეუდგება საქმის გამოძიებას. რაც შეეხება მეორეს საკრებულომ დაინახა, რომ ქუთაისის საბჭოს მოხსენება საფუძვლიანი და შესაძლებელიცაა ტფილისის ქუჩაზე ტრამვაის გაყვანა. საქმე მალე იქნება წარდგენილი სამინისტროში. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მოვალაპარაკებით მკითხველს ცალკე

დ. მ.

დ. ოჩამჩირე. 4 დეკემბერს აქაურ საზოგადოებას ურილობა ჰქონდა მოსალოდნელ ნავთსადგურის თაობაზე. როგორც უწყით, ოჩამჩირის მახლობლად, ს. ტკვარჩელში, მდიდარი ქვა-ნახშირის მადანი აღმოჩნდა. ეხლა მადნების პატრონი ბუტმი დე კაცმანი და მისი ამხანაგები თხოულობენ, თუ ოჩამჩირლებს ჰსურთ ოჩამჩირის ნავთ-სადგურთან იქნას გატანილი ქვა-ნახშირი, 200 დესიატინა მიწას ნავთსადგურისა და ყაზარმების ასაშენებლად. საზოგადოება დაშინებულია ფოთის მაგალითით, რომელმაც ნავთის ქარხნები წინდაუხედველობით თავიდან მოიშორა და ამისათვის ხმის ამოუღებლივ დათანხმდა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ 200 დესიატინა, მესამედია ოჩამჩირის მთელის მიწა-ადგილისა (სულ 600 დესიატინა მიწა აქვს). გაცემული უხვადაა, თუ ბუტმის ამხანაგობა საზოგადოების გულ-უბრყვილობით არ სარგებლობს.

აქ გახშირებულია ინფლუენცია.

ქ. გ—ია.

კლდეეთის საზოგადოება (შორაპნის მაზრა) ამ ჟამად დიდს ფაცი-ფუცშია, დიდს მიხეთქ-მოხეთქებაშია. ეს პირველი მაგალითია, რომ ამ სოფლის საზოგადოება ასეთი თავ-გამოდებით საქმეს მოჰკიდებოდეს. დღეს ეს საზოგადოება, რომელიც თითქმის 600—720 მეტი მცხოვრებთაგან შესდგება, ფეხზე სდგას, რადგაც საერთო კითხვისკენ მიილტვის, ამ კითხვის გადაწყვეტას ლამობს და ხმა მაღლა გაიძახის: «ერთმანერთს ნუ ვუღალატებთ, წადილი ავისრულოთო'» ეს «წადილი» ძველის მამასახლისის ა. კვანტრიშვილის გადაყენება და ახლის არჩევა, და აი სამშაბათს, ოცდა რვა გიორგობისთვეს, სასოფლო ურილობაზე მოგროვდა ხალხი, წამოაყენეს პირველი კითხვისათანავე კანდიდატი ნ. მერკვილიშვილი. დაიყო ხალხი ორ პარტიად და ხმის უმეტესობა გადავიდა ახალი სამამასახლისოსკენ. რაკი ხმის უმეტესობა ახლისკენ იყო, ცხადია, რომ კითხვაც მალე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ საქმე შეჩერდა, ხალხი აირ დაირივა რა იყო არევ-დარევის მიზეზი? ხალხმა შეიტყო, რომ გავლენიან პირს ძველი მამასახლისის მხარი ეჭირა, წინააღმდეგ მათი სურვილისა, და მოშალა ურილობა და საჩქაროთ გასწია საჩივლელად შორაპნის მაზრის უფროსთან, სადაც პასუხად მიიღეს, რომ მეორე ურილობაზე დაესწრება მომრიგებელი შუამავალი და საითკენაც აღმოჩნდება ხმის უმეტესობა, საქმეც იქით უნდა გადაწყდესო. მეორე ურილობისათვის ხალხი ემზადება და შეურყეველი რწმენით ძველის გადაყენებას აპირებს.

1899 წ. „კვალის“ მე-53 №-ში ადგილობრივი მღვდელი გ. დუგლაძე ერთ რამეს დაჰპირდა ცხრაწყაროს. დაპირება დიდ პატიოსანი, მაგრამ საუბედუროთ დღემდე აუსრულებელია. მ. დუგლაძე აცნობებს მკითხველ საზოგადოებას, რომ ს. ცხრაწყაროში ბიბლიოთეკა მოკლე დროში იქნება დაარსებულიო... შკაფი შეკვეთილი გვაქვს და ჯერ-ჯერობით რამოდენიმე წიგნიც არისო... საქმის გაკეთებას კი დაგვპირდა, მაგრამ შესრულებით არ შეუსრულებია წელიწადი გადის და ამ დუგლაძის «ბიბლიოთეკაში არის მხოლოდ რამოდენიმე რუსული წიგნი და ჟურნალის ნომრები.

ა—ლი.

პრესსა

„რუსსკ. ვედომოსტ.“-ში მოყვანილია საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად დავალიანებულია რუსეთის მიწად-მფლობელობა:

> 15 წლის განმავლობაშიო,—ამბობს გაზეთი—მიწად-მფლობელთ მოემატათ ვალი ყველა ბანკებში 820 მილიონი მანეთი მაშინ, როდესაც მანამდე, უფრო მეტ დროს განმავლობაში, მიწადმფლობელთ სულ ემართათ ყველა ბანკების 457 მილიონი მანეთი. მამულების დავალიანება გაორკეცდა და გასამკეცდა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის დაარსების შემდეგ. 1886 წელს მემამულეთ ემართათ ყველა ბანკების—647 მილიონი მან., 1900 წელს კი მათი ვალი ავიდა საშინელ ციფრამდე—1 მილიარდ 650 მილიონ მანეთამდე! საყურადღებოა ის გარემოება, რომ კერძო ბანკებმა, მიუხედავად იმისა, რომ არავითარ საშუალებას არ ზოგავენ თავის ოპერაციების გადიდებისათვის, 30 წლის განმავლობაში ვერ გასცეს იმდენი სესხი, რამდენიც მარტო სახელმწიფო ბანკმა გასცა.

მიუხედავად ამგვარის დავალიანებისა, მემამულენი მაინც წუწუნებენ—კრედიტი გვაკლიაო!

პეტერბურგის ბირჟა 12 დეკემბერს.

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მ ა	ნ ე	თ ი.
4% სახელმწიფო რენტა	—	—	96⅛
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅝	—	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	96	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ	—	—	337
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	284½
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	215
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87½	—	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92½	—	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	86¼	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	101½	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	92½	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	—	92½
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	86	—

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1900 წლის 16 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ლისოგორის ვიწრო ქუჩის მოკირწყლა, სიგრძით 96,21 საჟენი, 854 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Декабря 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.